



ვ. გ. ზებალდი
პუსტერლიცი

W. G. Sebald
AUSTERLITZ

გერმანულიდან თარგმნა მაია ბადრიძემ



The translation of this work was supported by a grant
from the Goethe-Institut

© The Estate of W. G. Sebald, 2001
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-720-6

www.diogene.ge

ვ. გ. ზეპალდი

აუსტერლიცი

ოლეგ
გაბრიელი

60-იანი წლების ბოლოს, ნაწილობრივ ახლის შეცნობის, ნაწილობრივ ჩემთვისვე აუხსნელი მიზეზებით, ინგლისიდან ერთი-ორი დღით, ზოგჯერ კი რამდენიმე კვირით ბელგიაში მივემგზავრებოდი ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობისას, რომლის წყალობითაც, ჩემი წარმოდგენით, უცხო, შორეულ სამყაროში უნდა აღმოვჩენილიყავი, ზაფხულის კაშკაშა დღეს ჩემთვის უცნობ ქალაქში ჩავედი. მასზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ანტვერპენი ერქვა. ჩასვლისთანავე, როგორც კი მატარებელმა უცნაური წვეტიანი კოშკებით დამშვენებული ვიადუკი გაიარა და ცენტრალური სადგურის ჩაბნელებულ თაღებქვეშ ნელა შევიდა, უსიამოვნო გრძნობამ შემიპყრო, რომელიც მთელი იქ ყოფნის მანძილზე თან მდევდა. დღესაც მახსოვს, როგორ გაუბედავად მივაბიჯებდი ქალაქის ცენტრში: იერუსალიმ-სტრატზე, ნახტეგალ-სტრატზე, პელიკან-სტრატზე, პარადიზ-სტრატზე, იმერზელ-სტრატზე და ათას სხვა მიხვეულ-მოხვეულ ქუჩაში. ბოლოს, თავის ტკივილითა და უსიამოვნო აზრებით განამებულმა, იქვე, ცენტრალურ სადგურთან, ასტრიდპლეინის მოედანთან, თავი ზოოპარკს შევაფარე. ფრინველების ვოლიერთან, სადაც ჭრელბუმბულიანი სკვინჩები და ჭივჭავები დაფრთხიალებდნენ, სულის მოსათქმელად ჩრდილში მერხზე დავჯექი და იქიდან ფეხი არ მომიცვლია, სანამ თავი ცოტა უკეთ არ ვიგრძენი. რომ მოსალამოვდა, პარკში

გავისეირნე. ბოლოს რამდენიმე თვის წინ გახსნილ ნოქტურამაშიც შევიარე. ერთხანს ხელოვნურ სიბნელეს ვაჩვევდი თვალს, მერე კი შემინული კედლის იქით მთვარის მკრთალ შუქზე ღამის ცხოვრებით გართული სხვადასხვა ცხოველი გავარჩიე. ზუსტად ვერ ვიხსენებ, ანტვერპენის ნოქტურამაში რომელი ცხოველები ვნახე; ალბათ, ეგვიპტური თუ გობის უდაბნოს ღამურები და მინის კურდღლები, ადგილობრივი ზღარბები, ზარნაშოები და ბუები, ავსტრალიური ოპოსუმები, ტყის კვერნები, ძილგუდები და ნახევარმაიმუნები, ხის ერთი ტოტიდან მეორეზე რომ ხტოდნენ, მიწაზე დაყრილ ნაცრის-ფერ-ყვითელ ქვიშაზე რომ დასუნსულებდნენ, ან ხეებიდან პირდაპირ ბამბუკის უღრანში უჩინარდებოდნენ. მეხსიერებამ ყველაზე ცოცხლად მაინც ენოტი შემომინახა. დიდხანს ვაკვირდებოდი, რა სერიოზული სახით იჯდა პატარა რუსთან და მონდომებით რეცხავდა ვაშლის ნაჭერს, თითქოს ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული სისუფთავის ამგვარი გამოვლინებით იმ ყალბ სამყაროს დააღწევდა თავს, რომელშიც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ აღმოჩენილიყო. ისიც დამამახსოვრდა, რომ ზოგიერთ ცხოველს უჩვეულოდ დიდი თვალები



და დაუინებული, გამომცდელი მზერა ჰქონდა, როგორიც მხატვრებ-სა და ფილოსოფოსებს აქვთ ხოლმე, რომლებიც გონების ძალით



ცდილობენ, განჭვრიტონ წყვდიადი, გარს რომ გვაკრავს. ისიც მახსოვეს, თავში ერთი კითხვა მიტრიალებდა: ნეტა ნამდვილი ღამე რომ დგება და ზოოპარკი მნახველებისთვის იკეტება, შუქს თუ ანთებენ ხოლმე, რომ ამ უკულმართ მინიატურულ კოსმოსში, სადაც ვითომ თენდება, მშვიდ ძილს მიეცნენ-მეთქი. ნოქტურამაში ნანახი, წლების მანძილზე მეხსიერებაში სურათ-ხატებად რომ აღმებეჭდა, ან-ტვერპენის ცენტრალური სადგურის Salle des pas perdus-ში მიღებულ შთაბეჭდილებებს შეერია. როგორც კი ანტვერპენის სადგურის მოსაცდელი დარბაზის ნარმოდგენას შევეცდები ხოლმე, თვალწინ მაშინვე ნოქტურამა მიდგება და პირიქით, ნოქტურამაზე გაფიქრებისას მოსაცდელი დარბაზი მახსენდება, რადგან იმ საღამოს ზოოპარკიდან პირდაპირ სადგურში წავედი, უფრო სწორად, ერთხანს მოედანზე, სადგურის წინ ვიდექი და ამ საოცარი შენობის ფასადს ვათვალიერებდი, რომლისთვისაც ჩამოსვლისას ყურადღება არც კი მიმიქცევია. ახლა კი შევყურებდი ლეოპოლდ II-ის პატრონაჟით აგებულ ამ შენობას, ყოველგვარ ფუნქციურ მიზანშეწონილობას რომ იყო მოკლებული და თვალს ვერ ვწყვეტდი ზანგის ბიჭს, თავის აქლემიანად, რომელსაც მწვანე ფერი დასდებოდა და სადგურის ფასადის მარცხენა მხარეს, ერკერის კოშკზე, აგერ უკვე ერთი საუკუნეა, ფლანდრიული ცის ქვეშ მარტოდმარტო იდგა, როგორც აფრი-

კის ცხოველთა სამყაროსა და აბორიგენთა ძეგლი. ცენტრალური სადგურის დარბაზში რომ შევეძი და სამოცი მეტრი სიმაღლის გუმბათქვეშ აღმოვჩნდი, ალბათ, ზოოპარკში სტუმრობითა და აქლემის ნახვით გამოწვეული შთაბეჭდილებით, თავში გამიელვა, რომ კარგი იქნებოდა, ამ დიდებული, მაგრამ უკვე გვარიანად შელანძლული ფოიეს მარმარილოს ნიშებში ლომებისა და ლეოპარდების გალიები ან მელანთევზების, ზვიგენებისა და ნიანგების აკვარიუმები მოეწყოთ: ზოგიერთ ზოოპარკში ხომ დამთვალიერებლებს ვინწროლიანდაგიანი მატარებლით დედამიწის უშორეს კუთხეებში შეუძლიათ მოგზაურობა. ანტვერპენში, ასე ვთქვათ, უნებლიერ გაჩერილი ამგვარი აზრების დამსახურება იყო, რომ მოსაცდელი დარბაზი, რომელიც დღეს, როგორც ვიცი, მომსახურე პერსონალის სასადილოდ გამოიყენება, ნოქტურამას მივამსგავსე – როგორც კინოშია ხოლმე, როცა ერთ კადრს ნელა ენაცვლება მეორე. ამ შთაბეჭდილებას, ალბათ, ისიც აძლიერებდა, რომ, როცა მოსაცდელ დარბაზში შევაბიჯე, მზე უკვე შენობების სახურავებს ეფარებოდა. ფანჯრების მოპირდაპირე მხარეს, დაბურულ სარკისებრ კედელს, ოქროსფერი და ვერცხლისფერი ათინათი დასთამაშებდა და დარბაზი რაღაც არამინიერ ბინდისფერში ჩაძირულიყო. აქა-იქ რამდენიმე მგზავრი იჯდა მდუმარედ და გაუნძრევლად. ნოქტურამაში ნანახი ცხოველებივით, რომელთა შორის უდაბნოს პატარა მელიები – ფენეკები, გრძელფეხები და ზაზუნები ჭარბობდა, მგზავრებიც, დარბაზის უჩვეულოდ მაღალი ჭერისა თუ ჩამოწოლილი ბინდის გამო, პატარა ფიგურებად მოჩანდნენ. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ თავში უცნაურმა აზრმა გამიელვა: ისინი სამშობლოდან განდევნილი ან ან უკვე გადაშენებული ხალხების უკანასკნელი ნარმომადგენლები არიან, ვინც მოახერხა და გადარჩა, ამიტომაც აქვთ ზოოპარკში ნანახი ცხოველებივით სევდიანი გამომეტყველება-მეთქი. Salle des pas perdus-ში მომლოდინე მგზავრთაგან ერთ-ერთი აუსტერლიცი იყო, სამოცდაშვიდი წლის ქერა და უცნაურად ხუჭუჭომიანი კაცი, რომელიც ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ასეთი თმა მარტო ლანგის მიერ ნი-

ბელუნგებზე გადაღებულ ფილმში ზიგფრიდს თუ ჰქონდა. მაშინაც, ისევე როგორც ჩვენი შემდგომი შეხვედრებისას, აუსტერლიცს მძიმე, სალაშქრო ფეხსაცმელი, ლურჯი სატინის უბრალო, გაცუნებული შარვალი და ოდესალაც მისთვის საგანგებოდ შეკერილი, ახლა კი უკვე დიდი ხნის წინ მოდიდან გამოსული პიჯაკი ეცვა. დანარჩენი მგზავრებისგან მარტო გარეგნულად არ გამოირჩეოდა: ის ერთადერთი იყო, ვინც სხვებივით თვალგაშტერებული, უინტერესო გამომეტყველებით არ იჯდა და ჩანახატებს აკეთებდა, რომლებიც აშკარად იმ დიდებულ დარბაზს უკავშირდებოდა, სადაც ორივენი ვისხედით და რომელიც, ჩემი შეხედულებით, უფრო ოფიციალური ცერემონიებისთვის გამოდგებოდა, ვიდრე პარიზსა და ოსტენდეში მიმავალი მატარებლების მოსაცდელად. თუ არ ხატავდა, ფანჯრების რიგს, კანელურებიან პილასტრებს ან არქიტექტურული კონსტრუქციის სხვა დეტალებს ყურადღებით აკვირდებოდა. რაღაც მომენტში აუსტერლიცმა ზურგჩანთიდან ფოტოაპარატი ამოილო, ძველი „ენსაინი“ და ამასობაში უკვე ჩაბნელებულ სარკეებს რამდენიმე ფოტო გადაუღო. თუმცა ისინი იმ დაუხარისხებელ ფოტომასა-ლაში, რომელიც აუსტერლიცმა 1996 წლის ზამთარში შეხვედრისას გადმომცა, ვერ ვნახე. როცა ბოლოს რაღაც ვკითხე მოსაცდელ დარბაზზე, რომლითაც აშკარად დაინტერესებული იყო, ჩემს უშუალობას ოდნავადაც არ გაუკვირვებია და საუბარში მაშინვე ხალი-სიანად ჩაერთო. მოგვიანებით არა ერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ ამაში უცნაური არაფერი იყო, რადგან, ვინც მარტო მოგზაურობს და დღეების განმავლობაში ხმის გამცემი არავინ ჰყავს, დიდად უმადლის იმას, ვინც საუბარს გაუბამს. ასეთ დროს მოგზაური ხშირად სრულიად უცხოს გადაუშლის ხოლმე გულს და არაფერს უმალავს. თუმცა Salle des pas perdus-ში აუსტერლიცთან, რომელსაც ჩვენი შემდგომი შეხვედრებისასაც კი ბევრი არაფერი მოუყოლია ჩემთვის თავის წარმომავლობასა და ცხოვრებაზე, ასეთი რამ არ მომხდარა. ჩვენი ანტვერპენული საუბრები, როგორც მათ აუსტერლიცი მოგვიანებით მოიხსენიებდა, მის განსაცვიფრებელ პროფე-

სიულ ცოდნას, კერძოდ კი არქიტექტურის ისტორიას ეხებოდა. ასე იყო იმ საღამოსაც, როცა გუმბათიან მოსაცდელ დარბაზში, რესტორნის მოპირდაპირე მხარეს შუალამედე ვისხედით. გვიან აქა-იქ კანტიკუნტად შემორჩენილი მგზავრებიც გაიფანტნენ და ბოლოს ბუფეტისთვის გამოყოფილ სივრცეში ფერნეტის მოყვარულ კაცთან და მებუფეტე ქალთან ერთად ჩვენლა დავრჩით. ქალი ბარის დახლთან მაღალ სკამზე ფეხიფეხგადადებული იჯდა და უკიდურესი მონდომებითა და გატაცებით იქლიბავდა ფრჩხილებს; წყალბადის ზეჟანგით გაუფერულებული თმა ისე აეკოკოლავებინა, რომ ჩიტის ბუდეს მიუგავდა. აუსტერლიცმა თითქოს სხვათა შორის თქვა, ქალი გარდასულ დროთა ღვთაებააო. მართლაც, მის ზურგს უკან, ბელგიის სამეფოს ლომის გამოსახულებიანი გერბის ქვეშ, დარბაზის მთავარი სამშენისი ეკიდა: ერთ დროს მოოქროვილი, ახლა კი მატარებლების ჭვარტლითა და თუთუნის ბოლით ჩაშავებული საათის გიგანტური ციფერბლატი, რომელზეც ექვსი ფუტის სიგრძის ისრები მოძრაობდა. საუბრისას დროდადრო ჩამოწოლილ სიჩუმეში ვამჩნევდით, რომ ყოველი წუთი უსასრულოდ იწელებოდა და ისე საშიში გვეჩვენებოდა ისრის ყოველი – თუმცა მოსალოდნელი – გადაადგილება, რომელიც, მართლმსაჯულების ალესილი მახვილივით, მომავლის ყოველ საათს თავის წილ მესამოცედს აჭრიდა, ისარი კი ისე შემაშფოთებლად ცახაცახებდა, რომ ყოველ შეხედვაზე ლამის გული გვისკდებოდა. – მე-19 საუკუნის მიწურულს, – ასე დაიწყო თხრობა აუსტერლიცმა, როცა სადგურის ისტორიაზე ვკითხე, – როცა ბელგიამ, მსოფლიო რუკაზე ამ ძლიერ შესამჩნევმა ნაცრისფერ-ყვითელმა ლაქამ, თავისი კოლონიური საქმიანობა აფრიკის კონტინენტზე განავრცო, როცა ბრიუსელის კაპიტალის ბაზრებსა და ნედლეულის ბირჟებზე სარფიანი გარიგებები იდებოდა, უსაზღვრო ოპტიმიზმით ფრთაშესხმულ ბელგიელებს კი სწამდათ, რომ უცხო დამპყრობთა უდელქვეშ დამცირებული, დაქუცმაცებული და შინაგანად გახლეჩილი ქვეყანა ძლევამოსილ სახელმწიფოდ გადაიქცეოდა, იმ ჩვენთვის უკვე შორეულ, მაგრამ დღევანდელობის

განმსაზღვრელ ეპოქაში მეფე ლეოპოლდმა, რომლის პატრონაჟითაც პროგრესი შეუქცევად ხასიათს იღებდა, პირადი ინიციატივა გამოიჩინა და თავისუფალი ფინანსური შესაძლებლობები საზოგადოებრივი შენობების მშენებლობისკენ მიმართა, რასაც საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს პრესტიული უნდა აემაღლებინა. ერთ-ერთი ასეთი, მაღალი ინსტანციის მხარდაჭერილი, წამონებება იყო ფლანდრიის დედაქალაქის ცენტრალური სადგურის მშენებლობა. პროექტის ავტორი ლუი დელასანსერი იყო. მშენებლობა ათ წელს გრძელდებოდა და მის საზეიმო გახსნას 1905 წლის ზაფხულში თავად მონარქი დაესწრო, – თქვა აუსტერლიცმა. ლუცერნის ახალი სადგური, რომლის დრამატიზმით სავსე გუმბათი* ლეოპოლდს განსაკუთრებით ხიბლავდა და რომელიც რეინიგზის დაბალჭერიანი სადგურებისთვის, ზოგადად, უცხო იყო, მონარქის რეკომენდაციით, არქიტექტორს ნიმუშად უნდა გამოეყენებინა. რომაული პანთეონით შთაგონებულმა დელასანსერიმ თავის კონსტრუქციაში ისე შთამბეჭდავად შეასხა ხორცი ამ კონცეფციას, რომ ჩვენც კი, თანამედროვე ადამიანებს, შენობაში შესვლისთანავე ზუსტად ისეთივე გრძნობა გვიპყრობს, როგორიც ხუროთმოძვარმა ჩაიფიქრა: თითქოს ამქვეყნიურ ამაოებას გარიდებულები, მსოფლიო ვაჭრობისა და

* ამ ესკიზების თვალიერებისას გამახსენდა, რომ 1971 წლის თებერვალში რამდენიმე დღით შვეიცარიაში ვიყავი, სადაც სხვა დანარჩენთა შორის ლუცერნსაც ვესტუმრე. მყინვარების მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სადგურში რომ ვპრუნდებოდი, გზად ხიდზე დიდხანს შევერდი, რადგან სადგურის შენობის გუმბათისა და ზამთრის უღრუბლო ცის ფონზე პილატეს მთის მასივის დანახვამ ოთხ-ნახევარი წლის წინ ანტვერპენის ცენტრალურ სადგურში აუსტერლიცის ნათქვამი გამახსენა. რამდენიმე საათის შემდეგ, 5 თებერვლის ღამეს, როცა სასტუმროს ნომერში ღრმად მეძინა, ლუცერნის სადგურში გაჩენილმა ხანძარმა, რომელიც მთელ შენობას უსწრაფესად მოედო, გუმბათი მთლიანად გაანადგურა.



ფოტოებში, რომლებიც მეორე დღეს გაზეთებსა და ტელევიზორში ვნახე, რაღაც შემაშფოთებელი და საგანგაშო იყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ლუცერნის ხანძარში ბრალი თუ არ მიმიძღოდა, თანამონანილე მაინც ვიყავი. ზოგჯერ წლების შემდეგაც მესიზმრებოდა ხოლმე, როგორ ანათებდა გუმბათიდან ამოვარდნილი ცეცხლის ენები თოვლიან ალპებს.




საერთაშორისო ურთიერთობების სადიდებლად აგებულ ტაძარში მოხვედით. ამ მონუმენტური ნაგებობის მთავარ ელემენტს დელა-სანსერი იტალიური აღორძინების ეპოქის სასახლეებსა და ესესახა, თუმცა ის პიზანტიური და მავრიტანული სტილის გამოძახილიცაა; ცხადია, თეთრი და ნაცრისფერი გრანიტის მრგვალი კოშკურები, რომლებიც ჩამოსვლისთანავე შევამჩნიე, ერთ მიზანს ემსახურება: მგზავრებში შეუა საუკუნეების ასოციაცია გამოიწვიოს. თავისთავად, დელასანსერის ეს თავშესაქცევი ეკლექტიზმი ცენტრალური სადგურის შენობაში, თავისი მარმარილოს კაბინი ვესტიბულით, ბაქნების თავზე სპილენძისა და მინის კონსტრუქციით, ნარსულისა და მომავლის სინთეზი ახალი ეპოქის სრულიად ლოგიკური სტილისტური ხერხია, – თქვა აუსტერლიცმა. – ამაღლებული ადგილებიდან კი, საიდანაც რომაულ პანთეონში შესულ მლოცველებს ღმერთები დაჰყურებდნენ, ანტვერპენის სადგურში, იერარქიული თანამიმდევრობით, მე-19 საუკუნის ღვთაებებს ვხედავთ: სამთო მრეწველობას, მრეწველობას, ტრანსპორტს, ვაჭრობასა და კაპიტალს. მთელ ვესტიბულში, როგორც შევამჩნიე, საკმაოდ მაღლა, ქვის მედალიონებს დაინახავ, რომლებზეც სიმბოლოებია გამოსახული: ხორბლის ძნა, გადაჯვარედინებული ჩაქუჩები, ფრთიანი ბორბლები და ა. შ.; ამასთან, სკის ჰერალდიკური მოტივი ბუნებას კი არ განასახიერებს, რომელიც ადამიანმა დაიმორჩილა და თავის მოთხოვნებს დაუქვემდებარა, როგორც ეს, საზოგადოდ, მიჩნეულია, ის არც მუყაითობისა და საზოგადოებრივი სიკეთის სიმბოლოა, არა-მედ კაპიტალის დაგროვების პრინციპის განსახიერებაა. ამ სიმბოლოთა შორის კი გამორჩეულ ადგილს საათის ისრებითა და ციფერ-ბლატით ნარმოდგენილი დრო იკავებს. ვესტიბიულისა და ბაქნის დამაკავშირებელი ჯვრის ფორმის კიბის თავზე, რომელიც ამ ანსამბლში ბაროკოს ერთადერთი ელემენტია, ოცი მეტრის სიმაღლეზე, ზუსტად იქ, სადაც პანთეონში, პორტალის გაყოლებაზე, იმპერატორის პორტრეტს დაინახავდით, საათი კიდია; როგორც ყოვლისშემდლეობის სიმბოლო, ის გაცილებით მეტია, ვიდრე სამეფო გერბი და

ლოზუნგი „Endracht maakt macht“. ცენტრალური ადგილიდან, რომელიც ანტვერპენის სადგურის საათის მექანიზმს უჭირავს, ყველა მგზავრის მოძრაობის კონტროლი ადვილია, თვითონ მგზავრებიც უზებლიერ მზერას საათისკენ მიმართავენ და მის შესაბამისად მოქმედებენ. საერთოდ, – თქვა აუსტერლიცმა, – სარკინიგზო განრიგის სინქრონიზაციამდე ლილში ან ლიეჟში საათები ისე არ მუშაობდა, როგორც გენტსა და ანტვერპენში. დრომ მსოფლიოში თავისი გაბატონებული მდგომარეობა მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელებული სავალდებულო უნიფიკაციის შემდეგ მოიპოვა. უზარმაზარი მანძილის გადალახვას, რომელიც ერთმანეთისგან გვაშორებს, მხოლოდ დროით განსაზღვრული წესრიგის დაცვით ვახერხებთ. დროისა და სივრცის ურთიერთკავშირში, რომელსაც მოგზაურობის დროს ვეცნობით, რაღაც ილუზიონისტური და ილუზიურია, ამიტომაც ყოველ ჯერზე, უკან რომ ვპრუნდებით, დარწმუნებით ვერ ვამბობთ, მთელი ეს დრო მართლა წასულები ვიყავით თუ არა. – თავიდანვე გამაკვირვა, როგორ აყალიბებდა აუსტერლიცი ლაპარაკის პროცესში აზრებს, როგორ ქმნიდა პარმონიულ წინადადებებს, როგორ უზიარებდა მოსაუბრეს პროფესიულ ცოდნას და ამით ნაპიჯ-ნაპიჯ უახლოვდებოდა ისტორიის ერთგვარ მეტაფიზიკას, სადაც ყველაფერი, რასაც იხსენებდა, სიცოცხლეს ხელახლა იძენდა. არასდროს დამავიწყდება, როცა მოსაცდელ დარბაზში დიდი სარკის ტექნოლოგიაზე ლაპარაკი დაამთავრა და მასთან მისულმა დაბინდულ შუქზე მკრთალად მოკიმციმე სარკეს კიდევ ერთხელ ახედა, როგორ თქვა: „combien des ouvriers périrent, lors de la manufacture de tels miroirs, de malignes et funestes affectations à la suite de l'inhalation des vapeurs de mercure et de cyanide“. მეორე დღეს დათქმულ დროს რომ შევხვდით ერთმანეთს შელდის სანაპიროზე, თავის დაკვირვებებს ისე მიზიარებდა და ლაპარაკს იმავე განწყობით აგრძელებდა, როგორითაც წინა დღეს დაამთავრა. დილის შუქზე მოლაპლაპე ფართო მდინარისკენ ხელით მიმანიშნა და მოყვა, მე-16 საუკუნის შუა ხანებში, ე. წ. მცირე გამყინვარების პე

რიოდში, შექმნილ ლუკას ვან ფალკერბორხის ერთ-ერთ ტილოზე გაყინული შელდის მეორე ნაპირია გამოსახული, სიღრმეში კი ჩამუქებულ ანტერპენსა და ხმელეთის ბრტყელ ზოლს დაინახავთ, რომელიც თანდათან სანაპიროში გადადის. მოქუფრული ციდან ღვთის-მშობლის ტაძრის კოშკს წვრილად ათოვს, იქ, მდინარეზე კი, რომელსაც სამასი წლის შემდეგ ვუყურებთ, ყინულზე ანტერპენელები ერთობიან: უბრალო ხალხი ყავისფერ ხიფთანებში და ქალაქის ნარჩინებულნი შავი მოსასახამებითა და მაქმანებით გაწყობილი საყელოებით. წინა პლანზე, თითქმის სურათის მარჯვენა კუთხეში, ქალი წაქცეულა. ჭყეტელა ყვითელი ფერის კაბა აცვია, მის კავალერს კი, ქალისკენ შენუხებული სახით რომ იხრება – წითელი შარვალი, გაცრეცილ, მიმქრალ ფონზე თვალში საცემად რომ იკვეთება. მდინარეს რომ ვუყურებ და ამ ნახატის ცეროდენა ფიგურები მახსენდება, ასე მგონია, ის წამი, ლუკას ვან ფალკერბორხმა რომ ალბეჭდა, არ გასულა და დღემდე გრძელდება, თითქოს ჭყეტელა ყვითელკაბიანი ქალი აი, ამზუთას წაიქცა თუ გული შეუდონდა, ხავერდის ქუდიც თავიდან ამწუთას მოსძვრა და გვერდზე გაგორდა, თითქოს ქალის დაცემის ეს სცენა, იქ მყოფთაგან ბევრს რომ არც შეუმჩნევია, მეორდება და მეორდება, არასდროს მთავრდება და მის გამოსწორებას ვერავინ ვერასდროს შეძლებსო. იმ დღეს, როცა სანაპიროდან ქალაქის ცენტრში სასეირნოდ წავედით, აუსტერლიცი დიდხანს ლაპარაკობდა იმ კვალზე, რომელსაც ტკივილი ისტორიაში უთვალავი წვრილი, ძლივს შესამჩნევი ძაფივით ავლებს. სადგურების არქიტექტურის შესწავლისას, – მითხრა მან, როცა ხეტიალით დაღლილები ნაშუადღევს ჰანდშუმარკტის მოედანზე პატარა რესტორანში სასადილოდ შევედით, – განშორებით გამოწვეულ ტანჯვასა და უცხო მხარის შიშზე ფიქრს თავიდან ვერ ვიცილებ, თუმცა ამით გამოწვეული ემოციები მშენებლობის ისტორიას არ უკავშირდება. ცხადია, ჩვენი გრანდიოზული გეგმები ჩვენს ძლიერ დაურწმუნებლობას ამხელს. ციხესიმაგრეთა მშენებლობა, რომლის საუკეთესო მაგალითიც ანტერპენში გვხვდება, ცხადად გვიჩვე-

ნებს, რომ უცხო ძალების შემოჭრისგან თავდასაცავად ზომებს მივ-
მართავთ და ეს იძულებულს გვხდის, გარშემო ახალ-ახალი თავ-
დაცვითი ნაგებობები ავაშენოთ, ვიდრე კონცენტრირებული წრეე-
ბი, სულ უფრო შორს რომ იწევს და სულ უფრო მეტ სივრცეს იპ-
ყრობს, ბუნებრივ საზღვრებს არ დაეჯახება. საკმარისია, ციხესი-
მაგრეთა მშენებლობის განვითარებას მივადევნოთ თვალი, იქნება
ეს ფლორიანის, და კაპრის, სანმიკელის, რუზენშტაინის, ბურ-
გსდორფის, კოპორნის, კლენგელის, მონტალამბერისა თუ ვობანის
ნაგებობები, – განაგრძობდა აუსტრიულიცი, – განვაცვიურებთ
ფორტიფიკატორების არაერთი თაობის ის შეუვალი სიჯიუტე, რომ-
ლითაც ისინი, თავიანთი ნიქიერების მიუხედავად, დღეისთვის უკვე
სრულიად მცდარად მიჩნეულ პრინციპს იცავდნენ, რომლის თანახ-
მადაც, თუ იდეალური ციხესიმაგრის გეგმას შემუშავებდნენ, ყრუ-
კედლებიანი ბასტიონებითა და წინ წამოწეული რაველინებით, საი-
დანაც გალავნის მიმდებარე ტერიტორიას ციხესიმაგრის ქვემეხე-
ბით ღია ცეცხლს გაუხსნიდნენ, მაშინ ეს ქალაქის დაცვის საუკეთე-
სო შესაძლებლობას შექმნიდა. დღეს აღარავის ახსოვს ციხესიმაგ-
რეების მშენებლობასთან დაკავშირებული ზღვა ლიტერატურა, ის
ფანტასტიკური გეომეტრიული, ტრიგონომეტრიული თუ ლოგისტი-
კური გამოთვლები, რომლებიც საფუძვლად უდევს მას ან ფორტი-
ფიკაციისა და საომარი ხელოვნების აურაცხელი ტერმინი; ისეთი
მარტივი სიტყვების მნიშვნელობაც კი აღარ ესმით, როგორიცაა: escarpe, courtine, faussebraie, réduit ან glacis, თუმცა დღევანდელი
გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ მე-17 საუკუნის მინურულს, სა-
ბოლოოდ, სხვადასხვა სისტემიდან უპირატესობა თხრილით გარშე-
მორტყმულ ვარსკვლავისებრ თორმეტკუთხოვან ფორმას მიენიჭა,
ასე ვთქვათ, ოქროს კვეთით მიღებულ იდეალურ ნიმუშს, რომელ-
საც კუვორდენის, ნეფ-ბრიზაკისა თუ ზაარლუს ციხესიმაგრეების
ჩახლართულ ნახაზბში ვხედავთ და რომლებიც დილეტანტისთვი-
საც კი აბსოლუტურ ძალუფლებასა და ამ ძალუფლების სამსა-
ხურში ჩაყენებულ საინჟინრო გენიას განასახიერებს. ვარსკვლავი-



სებრი ციხესიმაგრები, რომლებსაც მე-18 საუკუნეში ყველგან აშენებდნენ და სულ უფრო სრულყოფდნენ, ომის დროს თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდა, რადგან ამ სქემაზე კონცენტრირებულ მშენებლებს მხედველობიდან რჩებოდათ, რომ ყველაზე დიდი ციხესიმაგრები ბუნებრივად იზიდავდა მტრის ყველაზე დიდ ძალებს და რაც უფრო მეტი ენერგია იხარჯებოდა თხრილებით მათ გამაგრებაზე, მით მეტად იზრდებოდა შანსი, რომ თავდაცვით პოზიციაზე გადასულიყვნებ; ასე რომ, ციხესიმაგრეთა დამცველები მოწმენი ხდებოდნენ, როგორ იოლად იყავებდა მტერი ტერიტორიას, რომელიც თვითონვე ამოირჩია, უმნეოდ შეჰყურებდნენ, როგორ არაფრად აგდებდა მოწინააღმდეგე ნამდვილ არსენალად ქცეულ, ქვემენებითა და ხალხით სავსე ციხესიმაგრებს. სწორედ ამიტომ თავდაცვით სიმაგრეებზე კონცენტრირების პარანოიდული ტენდენცია მტრისთვის ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორიას შემცირდა ტოვებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ სამშენებლო გეგმების პერმანენტულად გართულება და შესაბამისად, მათი რეალიზაციის-

თვის საჭირო უფრო მეტი დრო ზრდიდა იმის შესაძლებლობას, რომ ნაგებობები არათუ მშენებლობის პროცესში, არამედ უკვე მანამ-დეც მოძველებულად ჩათვლილიყო, რადგან არტილერიის, ასევე სტრატეგიული კონცეფციების განვითარება ერთ უმთავრეს პრინ-ციას ექვემდებარებოდა, რომლის თანახმადაც, ყველაფერს მოძ-რაობა წყვეტდა და არა ერთ ადგილზე დგომა. და თუ რომელიმე ციხესიმაგრის წინააღმდეგობის განვის ძალა გამოცდის წინაშე დგებოდა, მაშინ ეს არნახული რაოდენობის საომარი მასალის ხარ-ჯვას ითხოვდა, რომლის შედეგიც ერთობ მცირე იყო. ეს არსად ისე თვალნათლივ არ გამოვლენილა, როგორც აქ, ანტვერპენში, როცა 1832 წელს ბელგიის ტერიტორიის ნაწილებზე დავა ახალი სამეფოს გამოცხადებამაც ვერ შეაჩერა – პაჩოლოს* მიერ აშენებული და ვე-ლინგტონის ჰერცოგის ინიციატივით დამატებითი დამცავი ნაგებო-ბებით გარშემორტყმული, იმ პერიოდისთვის პოლანდიელების მიერ დაპყრობილი ციტადელი სამ კვირაში ფრანგების ორმოცდაათიათა-სიანი ჯარის ალყაში მოექცა, რომელიც იქამდე გაგრძელდა, ვიდრე დეკემბრის შუა რიცხვებში უკვე დაპყრობილი ფორტ მონტებელო-დან საფრანგეთის ჯარმა წმინდა ლავრენტის კოშეს კედელთან ნა-ხევრად დანგრეულ მიწაყრილზე იერიში არ მიიტანა და ციხესიმაგ-რის კედელს არ მიადგა. რამდენიმე წელს ანტვერპენის ალყა, და-ხარჯული რესურსებისა და ინტენსივობის თვალსაზრისით, ომების ისტორიაში უნიკალურ ჰპიზოდად რჩებოდა; კულმინაციურ წერტი-ლად კი ის ლირსსახსოვარი დღე იქცა, როცა პოლკოვნიკ პერანის გამოგონილი გიგანტური მორტირებიდან ციტადელს სამოცდაათი ათასი ჭურვი ესროლეს და რამდენიმე კაზემატის გარდა, ყველაფე-რი პირწმინდად განადგურდა. პოლანდიელმა გენერალმა ბარონმა

* ზებალდი, სავარაუდოდ, გულისხმობს არქიტექტორ ფრანჩესკო პაჩო-ტოს (Francesco Paciotto, 1521 – 1591) – სწორედ მან ააგო ანტვერპენის ციტადელი (რედ. შენიშვნა).

დე შასემ, მხცოვანმა მხედართმთავარმა, რომლის ციხესიმაგრისგან ქვების გროვალა დარჩენილიყო, ტერიტორიის დანაღმვა ბრძანა, რათა თავისი ერთგულებისა და გმირობის ძეგლთან ერთად აეფეთ-ქებინა თავი, მაგრამ მეფის შეტყობინებამ სულზე მოუსწრო და ისიც კაპიტულაციას დასთანხმდა. მიუხედავად იმისა, რომ ანტვერ-პენის აღებამ საფორტიფიკაციო და საალყო ხელოვნების სრული აბსურდულობა ცხადყო, – განაგრძობდა აუსტრერლიცი, – აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გააკეთეს: გადაწყდა, ქალაქის გარშემო თავდაცვითი ნაგებობები აღედგინათ და კიდევ უფრო მეტად გაეძლიერებინათ და გაეფართოებინათ. ასე რომ, 1859 წელს ძველი ცი-ტადელი და საბრძოლო სიმაგრეთა სისტემაში ციხესიმაგრეთა უმ-რავლესობა მიწასთან გაასწორეს და ახალი, ცხრა- თუ ათმილიანი კონსტრუქციის, ე. წ. enciente-ის, ასევე მისგან ნახევარი საათის სავალზე რვა ფორტის მშენებლობას შეუდგნენ. ოცი წლის შემდეგ ამ იდეის არაეფექტურობა გამოვლინდა, რადგან ამასობაში შორ-სსასროლი იარაღის განვითარებამ და ასაფეთქებელი ნივთიერებე-ბის გამანადგურებელი ძალის ზრდამ სხვადასხვა ცვლილების აუცი-ლებლობა გააჩინა და იმავე ლოგიკაზე დაყრდნობით, enciente-იდან ექვსი-ცხრა მილის მოშორებით საბრძოლო სიმაგრეთა თხუთმეტ-ფორტიანი სისტემის მშენებლობა დაიწყეს. მშენებლობა ოცდაათ წელს გაგრძელდა და როგორც მოსალოდნელი იყო, ნამოიჭრა სა-კითხი, ხომ არ აჯობებდა, ფორტის ხაზი სამი მილით გადაწეული-ყო, რადგან სწრაფი ინდუსტრიული და კომერციული განვითარება ხელს უწყობდა ანტვერპენის ზრდას და ქალაქი უკვე გასცდენოდა თავის ძველ საზღვრებს; ფორტის ხაზის სამი მილით გადაწევა თავ-დაცვითი სისტემის სიგრძეს ოცდაათი მილით გაზრდიდა და ქალაქ მეხელენის მისადგომებს მიუახლოებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ამ მასშტაბის გარნიზონის მომსახურებას ბელგიის მთე-ლი ჯარიც არ ეყოფოდა. ასე რომ, გადაწყდა, იმ კონსტრუქციის სრულყოფაზე ემუშავათ, რომელიც უკვე შენდებოდა და რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ ჰასუხობდა. ჯაჭვის ბოლო რგო-

ლი ბრინდონკის ფორტი იყო, – თქვა აუსტერლიცმა, – რომლის
მშენებლობაც პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცოტა ხნით
ადრე დამთავრდა და მალევე, სულ რამდენიმე თვეში, ქალაქისა და
ქვეყნის დასაცავად სრულიად უსარგებლო აღმოჩნდა. საბრძოლო
სიმაგრეთა ამგვარი სისტემის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ფრინ-
ველებისგან განსხვავებით, რომლებიც ათასწლეულების მანძილზე
ბუდეებს ერთი და იმავე სისტემით იშენებენ, ადამიანი თავის საქ-
მიანობას გამუდმებით ისე ცვლის, რომ ეს წარმოსახვის ყოველგვარ
საზღვრებს სცდება, – დაახლოებით ასე დაამთავრა აუსტერლიცმა
თხრობა ანტვერპენში, ჰანდშუმარკტის მოედანზე და მაგიდიდან ამ-
დგარმა, ზურგჩანთა მოიკიდა. – კარგი იქნებოდა, – დაამატა მან, –
შენობების კატალოგი შეგვედგინა და ისინი სიდიდის მიხედვით გან-
გველაგებინა. მაშინვე ცხადი გახდებოდა, რომ მხოლოდ ის შენობე-
ბი, რომლებიც ნორმის ქვემო კატეგორიაში ხვდება: მონაცირის ქო-
ნი, ერმიტაჟი, რაბის მეთვალყურის პატარა სახლი, გადმოსახედი
პავილიონი, საბავშვო ნაგებობები ბაღში – ქმნიან ირგვლივ სიმშვი-
დის განწყობას, უზარმაზარი შენობები კი, მაგალითად ბრიუსელის
მართლმსაჯულების სასახლე, არც ერთ ჭკუათმყოფელს არ მოეწო-
ნება. უკეთეს შემთხვევაში, ისინი გვაკვირვებს, მაგრამ გაკვირვება
ხომ რაღაც შემზარვის წინაფორმაა, რადგან გულის სიღრმეში ყვე-
ლამ ვიცით, რომ ეს გრანდიოზული კონსტრუქციები ნგრევის
ჩრდილს ჰავენს და მათ მომავალში ნანგრევების სახით არსებობის
კონცეფცია უდევს საფუძვლად. – აუსტერლიცის ეს ნათქვამი ისევ
ჩამესმოდა ყურში, როცა მეორე დილით იმ იმედით, რომ ამ სიტყვე-
ბის ავტორი კვლავ გამოჩნდებოდა, ყავას ვსვამდი ჰანდშუმარკტზე
იმავე რესტორანში, სადაც წინა სალამოს ისე გამომემშვიდობა, რომ
ზედმეტი სიტყვა არ უთქვამს. მოლოდინში გაზეთს ვათვალიერებდი
და ახლა აღარ მახსოვს, „Gazet van Antwerpen“-სა თუ „La Libre
Belgique“-ში ბრინდონკის ციხესიმაგრეზე მოკლე შენიშვნას წავან-
ყდი, რომელიც იუწყებოდა, რომ 1940 წელს გერმანელებმა ციხესი-
მაგრეში, რომელიც მათ ხელში თავისი არსებობის მანძილზე მეო-